



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 935

თბილისი

„21“ 08 2014

2014 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების გზით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე აპლიკანტთა მიღების გამოცხადების მიზნით, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სპეციალურ პროგრამაში ელექტრონული ფორმის შევსების ვადის განსაზღვრის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2014 წლის 19 აგვისტოს N588109 წერილის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. 2014 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების გზით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე აპლიკანტთა მიღების გამოცხადების მიზნით, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სპეციალურ პროგრამაში ელექტრონული ფორმის შევსების ვადა განისაზღვროს 2014 წლის 25 აგვისტოდან - 30 აგვისტოს ჩათვლით.

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი; აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

თამარ სანიკიძე

შემსრულებელი:

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს
მთავარი სპეციალისტი

 20.08.2014 /ნინო ეგრისელაშვილი/

შეთანხმებულია:

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს
უფროსთან

 20.08.2014 /ლანა ხუნაშვილი/

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან

 20.08.14 /ეკატერინე მაჩიტაძე/

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსთან

 20.08.2014 /დავით ლომინაშვილი/

პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის დროებით მოვალეობის
შემსრულებელთან

 /თამარ ქიტიაშვილი/

მინისტრის პირველ მოადგილესთან

 /ქეთევან ნატრიაშვილი/

ბრძანება გაეგზავნოს:

1. სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს;
2. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს;
3. პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისათვის გაცნობის მიზნით);
4. სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს;
5. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.